



ცხოვრება და მოღვაწეობა  
ჩმინდისა შამისა ზეენისა  
გიორგი მთაწმინდელისა

Life and Activity of our Saint Father  
Giorgi Mtatsmindeli





ცხოვრება და მოღვაწეობა  
წმინდის მამისა ჩვენისა  
გიორგი მთაწმინდელისა

Life and Activity of our Saint Father  
**Giorgi Mtatsmindeli**







ცხოვრება და მოღვაწეობა  
წმინდისა მამისა ჰენისა  
გიორგი მთაწმინდელისა

## ლაპარება და ყჩაპობის წლები

ნ

ეტარი მამა გიორგი მთაწმინდელი იყო ქართველი, მამა-პაპა ღვთივდაცული ქვეყნიდან – სამცხედან ჰყავდა. გიორგის მამა იაკობი ღვთისმსახურ მეფე გიორგი პირველს<sup>1</sup> ერთგულად ემსახურებოდა, დედა – სათნოებით გამორჩეული მარიამი – ღვთისმოყვარე და ღვთისმოშიში ოჯახის ერთადერთი შვილი იყო.

იაკობს და მარიამს, ღვთის განგებით, სამი ვაჟი და სამი ასული შეეძინათ. პირმშოს თეკლა უწოდეს. მეუღლეებს აღთქმა ჰქონდათ დადებული, რომ პირველ შვილს ღმერთს შესწირავდნენ. შვიდი წლის თეკლა მშობლებმა წაიყვანეს სამცხეში, ტაძრისის დედათა მონასტერში<sup>2</sup>, სადაც აღსაზრდელად მონასტრის წინამძღვარს, დედა საბაიას მიაბარეს.

მეუღლეებს თეკლას შემდეგ შეეძინათ ვაჟი, თეოდორე. იაკობმა და მარიამმა მეორე აღთქმაც დადეს: თუ სხვა ვაჟიც შეეძინებოდათ, ისიც უფლისთვის მიეძღვნათ, რადგან: „ღვთისთვის ვერძის<sup>3</sup> შეწირვა უფრო სათნოა“.

ნეტარი მამა გიორგი დაიბადა 1009 წელს თრიალეთის მხარეში. ერთ ღამეს მარიამს ბრწყინვალე და ღიღებულ ჭაბუკი გამოეცხადა და გიორგის დაბადება წინასწარ აუწყა: „შენ შობ ვაჟს, ღვთის რჩეულ ვერძს; შესწირე იგი იმას, ვისაც აღუთქვი, და სახელად უწოდე გიორგი“. ამ გამოცხადებით შეშინებულმა და გახარებულმა მარიამმა მეუღლეს უამბო ყოველივე. ორივე ცრემლით ჰმადლობდა უფალს.

რამდენიმე ხნის შემდეგ მართლაც იშვა ღვთის მიერ აღთქმული მუშაკი. ხორციელ ზრდასთან ერთად, ყრმა სულიერადაც იზრდებოდა და ღვთისმოშიშებითა და სიყვარულით აღიესებოდა.

შეიდი წლის გიორგი, თავისი დის მსგავსად, ტაძრის მონასტერში მიაბარეს. სამი წლის განმავლობაში იგი გულმოდგინედ სწავლობდა საღვთო წერილს<sup>1</sup> და ყველას აკვირებდა თავისი მახვილი გონებითა და სიბეჯითით. უკვე ათი წლისა გონებით მხცოვანსა და მოხუცებულს მიემსგავსა.

ღვთის ხელი მას ჩვილობიდანვე იფარავდა. ერთხელ, ჯერ კიდევ მშობლებთან ყოფნისას, მდინარე ქციის<sup>2</sup> გაღმა ნაპირზე მან იხილა ცეცხლისფრად შემოსილი ყრმა, რომელიც თავისკენ უხმობდა: მოდი, ერთად ვითამაშოთო. ყრმა გიორგიმ გაღმა ნაპირზე გასვლა რომ დააპირა, ერთმა თეთრად მოსილმა მშვენიერმა ყრმამ მოჰკიდა ხელი და უთხრა: „აქ დარჩი, ჩემთან, რადგან მე შენი საუკეთესო მეგობარი ვარ“.

ცხადია, მდინარის გაღმა მხრიდან ყრმა გიორგის ბოროტი ეშმაკი ეძახდა, რომელსაც მისი დაღუპვა სურდა, თეთრად შემოსილი კი კეთილი ანგელოზი იყო, რომელიც უფალმა მას ჩვილობიდანვე მცველად დაუდგინა. სხვა დროსაც, როცა ყრმა მონასტერში იმყოფებოდა, ეშმაკის სიუერაგით ხანძარი გაჩნდა. ყრმას ღრმა ძილით ეძინა, მაგრამ თეთრად მოსილი ანგელოზი გამოეცხადა, გააღვიძა, ხელი მოჰკიდა და აღმოდებული მონასტრიდან უვნებელი გამოიყვანა.

ათი წლის რომ გახდა გიორგი, მამამ ხახულის მონასტერში<sup>3</sup> გადაიყვანა, სადაც მოღვაწეობდნენ გიორგის ბიძები (მამის ძმები): ღმერთშემოსილი და საღვთო მადლით აღსავსე გიორგი მწერალი<sup>4</sup> და საბა ხახულელი. ნეტარმა ბერებმა სიბრძნით შემეკული ყრმა გიორგის გონიერება, უშფოთველობა და სიმშვიდე რომ იხილეს, დიდად გაიხარეს და მადლობა შესწირეს უფალს.

იმხანად ხახულის ლავრის<sup>5</sup> წინამძღვარი იყო მამა მაკარი, რომელმაც შეილივით შეიტკბო ყრმა გიორგი. იგი ასევე დალოცეს ხახულში მოღვაწე სხვა ღირსმა მამებმა: მეფე ბაგრატ მესამის<sup>6</sup> ძემ, ცნობილმა პიმნოგრაფმა ბასილიმ და ანტონი მნათემ<sup>7</sup>. ამ ღმერთშემოსილმა<sup>8</sup> მამებმა კეთილი ზეგავლენა იქონიეს გიორგიზე, მის საეკლესიო მოღვაწეობაზე.

ხახულის მონასტერში გიორგის აღზრდას მეურვეობდა ილარიონ დიდი თვალელი. იგი მნათობივით ბრწყინავდა წმინდა მამათა საკრებულოში და ფრიად განთქმული იყო თავისი სულიერი მოძღვრებით. ღვთის ნებით, გიორგი დღითი დღე სულიერად იზრდებოდა. სამღვდლო და საეკლესიო საკითხებში განსწავლულობით ყველა თავის ტოლს

აღემატებოდა, ზედმიწევნით შეისწავლა საეკლესიო საგალობელი და სამგალობლო ხელოვნება. იგი დაუღალავად შრომობდა და ფხიზლობდა, ისე, რომ მის თვალს რულიც კი არ ერეოდა. ქართულ ენაზე თარგმნილი საღვთო წერილის ყველა წიგნი, ძველი და ახალი აღთქმისა, სრულყოფილად შეისწავლა.

ფერის ჯოჯიკის ძეს<sup>9</sup> ცოლად ჰყავდა ბასილი ბაგრატის ძის და. ფერისმა და მისმა მეუღლემ გიორგის ბიძა, გიორგი მწერალი მონასტრიდან თავის სასახლეში წაიყვანეს როგორც სულიერი მოძღვარი. იგი ასევე სასახლის ყველა საქმეს განაგებდა. გიორგი მწერალმა ყრმა გიორგიც თან წაიყვანა, რადგან თვითონ მოხუცებული იყო და მისი დახმარება სჭირდებოდა.

ფერის ჯოჯიკის ძემ და მისმა მეუღლემ ყრმა გიორგი თავის შვილად აღიარეს და ღვთისსათნოდ ცხოვრობდნენ. მაგრამ ბასილი კეისარმა<sup>10</sup> ფერისი ღალატსა და განდგომილებაში დაადანაშაულა და იგი სიკვდილით დასაჯა – თავი მოჰკვეთა. ფერისის ქვრივი, მთელი სახლეულობითა და ყმებით, კონსტანტინოპოლში გადაიყვანეს. ფერისის ქვრივმა და გიორგი მწერალმა გიორგი კონსტანტინოპოლის სასწავლებელში მიაბარეს, სადაც ფილოსოფიასა და მკვერმეტყველებას მას ღვთისმოშიშ სასულიერო პირთა მიერ აღიარებული მოძღვრები ასწავლიდნენ. თორმეტი წლის განმავლობაში ყრმა გიორგი გულმოდგინედ სწავლობდა და ყველას აღემატებოდა გონების სიმახვილით.

თორმეტი წლის შემდეგ ფერისის ქვრივი დააბრუნეს თავის მამულში, ტვარწატაფში<sup>11</sup> სადაც მან თავისი ბიძა და ყრმა გიორგი თან წაიყვანა.

მცირე ხნის შემდეგ გიორგი თავის მეორე ბიძასთან, საბასთან დაბრუნდა ხახულში. მისი სულიერი მოძღვარი დიდი ილარიონი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ოცდახუთი წლის გიორგიმ სწორედ ილარიონის ხელიდან მიიღო სამონაზვნო კურთხევა.





## სამონასტრო ღვინო

ას შემდეგ, რაც ნეტარმა გიორგიმ მონაზვნობა მიიღო, ღვთის მოწოდებით, ისურვა ახლობლებს განშორებოდა და სიგლახაკით ეცხოვრა უცხოეთში, რომ უფრო ახლოს ყოფილიყო ღმერთთან. უფლის განგებით, იგი ფარულად დაადგა იერუსალიმისკენ მიმავალ გზას. ღმერთი მას სულიერი ღვაწლისთვის ისევ განამზადებდა, როგორც მოსეს – წინასწარმეტყველად; ასევე, ემსგავსა იგი აბრაამს, რომელსაც უფალმა აღთქმა მისცა და პირველ ყოვლისა თავისი ქვეყანის დატოვება უბრძანა. მრავალი წმინდანის შესახებ არის დაწერილი: განიზრახავდნენ თუ არა ღმერთთან მიახლებას, პირველ ყოვლისა თავისიანებსა და მეგობრებს განეშორებოდნენ ხოლმე და მხოლოდ ამ გზით ხდებოდნენ ღირსნი ღმერთთან ჭეშმარიტი სიახლოვისა.

მაკარი წინამძღვარმა და ხახულის ღმერთშემოსილმა ბერებმა მღვდრები დაგზავნეს მის საძებნელად. გიორგიმ ერთ გლახაკს ძონძებში გაუცვალა თავისი სამოსელი, ჩამოძონძილმა წინ ერთი მიტოვებული, სულით ავაღმყოფი კაცი გაიძლოდა და ასე განაგრძო გზა. მოგვიანებით ღირსი მამა გიორგი იკონებდა: გზად, უდაბურ ადგილას, ეს სულით ავაღმყოფი კაცი ეშმაკმა ძირს დასცა, პირიდან დუქი სდიოდა, კბილებს აღრჭიალებდა და კიოდა, მე კი ვლოცულობდიო. ღირსი მამა გიორგი უფალს სწულის განკურნებას ევედრებოდა და მანამდე ილოცა, სანამ მისგან ბოროტი სული არ განიდევნა. ღირსმა მამამ მადლობა შესწირა უფალს, რომელმაც ბოროტი სულისგან იხსნა მისი თანამგზავრი. ამის შემდეგ მან, ფეხშიშველმა და თავშიშველმა, მარტო განაგრძო გზა. საგზადად არც ღვინო პქონდა და არც ყველი, დღეში მხოლოდ ერთხელ იღებდა პურსა და წყალს.

ასე, ტანჯვა-ვაებით მიაღწია შავ მთას<sup>1</sup>, თაყვანი სცა წმინდა სვიმეონისა და მისი დედის, ნეტარი მართას<sup>2</sup> სამარხებს, მოილოცა

მრავალი მონასტერი და წმინდა მამებისგან ღოცვა-კურთხევა მიიღო. უპირველეს ყოვლისა, იგი სულიერი მოძღვრის ძიებას შეუდგა, ვინაიდან მოძღვრის გარეშე შეუძლებელია წარმატება სამონაზვნო ღვაწლში.

საკვირველ მთაზე ღირსმა გიორგიმ კლდის ნაპარალში დაყუდებული ერთი ბერი პპოვა, რომელიც იყო გერიტივით უბიწო და მტრედით უმანკო, ზეცისა კაცი და ქვეყანისა ანგელოზი. იგი განშორებოდა ყოველივე ხორციელს, ყველა ამქვეყნიურ ზრუნვას და მთელი გონებით ღვთისკენ მიქცეულიყო. ეს იყო ქართველთა დიდი მნათობი – გიორგი შეყვებული<sup>3</sup>.

წმინდა ბერს ეწადა, ჩვენს ქვეყანას წმინდა ექვთიმეს საქმის ღირსეული გამგებლები გაამოსწავლა. სულიწმიდის მადლით, გიორგი შეყვებულმა შეიცნო, რომ სწორედ ყრმა გიორგი იყო ის, ვისაც ეძებდა.

მოძღვარმა გიორგი რომანაწმინდის მონასტერში<sup>4</sup> დაამკვიდრა, სადაც იგი თავმდაბლობითა და მორჩილებით უწელიდა სწულებს. აქ მან სამი წელი დაჰყო დიდ შრომასა და ღვაწლში, მარხვასა და უსიტყვო მორჩილებაში. ამგვარი სათნოებით შემკული მონაზონი ხორციელად ოცდაათი წლისა შესრულდა, სულიერად კი მსცოვან მოხუცებულობას მიაღწია. მხოლოდ ამის შემდეგ აკურთხა იგი მოძღვარმა და იერუსალიმში გაგზავნა.

ნეტარმა მამამ იერუსალიმში ყველა წმინდა ადგილი მოილოცა. მან გონებაში ისე ცხადად წარმოიდგინა კაცთა გამოხსნისთვის აღსრულებული ქრისტეს ენება, თითქოს საკუთარი თვალით ხედავდა უფალს.

მცირე ხნის შემდეგ გიორგი კვლავ მოძღვართან დაბრუნდა, რომელმაც ყოველმხრივ სრულქმნილ მოწაფეს ღოცვა-კურთხევა მისცა, რომ შესდგომოდა საღვთო წიგნთა ბერძნულიდან ქართულად თარგმნას.

მაგრამ თავმდაბალ მოწაფეს ემძიმებოდა ეს ტვირთი, ვინაიდან ფიქრობდა, რომ ამგვარი საქმის აღსრულება საღვთო სიბრძნით შემკულ ისეთ ბრძენ მოღვაწეს შეეფერებოდა, როგორიც წმინდა მამა ექვთიმე იყო. მოძღვარი გიორგის არიგებდა: შეილო, ვინც წმინდა ექვთიმე სიკვდილისგან იხსნა და ქართულ ენაზე აამეტყველა, იგია შენი შემწეო.

ამგვარი შეგონებით მოძღვარმა ძლივს დაარწმუნა გიორგი მონაზონი და ათონის წმინდა მთაზე წასვლა აიძულა.

ქართველებს უძველესი დროიდან პქონდათ საღვთო წიგნები და ჭეშმარიტი, მართალი სარწმუნოება. მაგრამ ჩვენი ქვეყანა შორს იყო საბერძნეთისგან. ამით სარგებლობდნენ სხვა ერის ბოროტი

შთამომავალნი, რომელთაც, თითქოსდა წესიერების მომიზეზებით, ცდუნებაში შევყავდით და ზოგიერთი წიგნი მათგანაც გვქონდა ნათარგმნი. ამიტომ ღმერთმა წააღობით მოგვხედა და მეცამეტე მოციქულისებრ მოგვივლინა „ახალი ოქროპირი“ – წმინდა მამა ექვთიმე, რომელმაც წმინდა წერილთა და სარწმუნოების განმამტკიცებელ საეკლესიო წესთა და კანონთა ღვთივსულიერი თარგმანებით სრულიად განწმინდა ჩვენი ქვეყანა ღვარძლისგან (არაბურძნული ენიდან ნათარგმნი წიგნებისგან), და ეს ყოველივე წერილობით დაგვიტოვა. მაგრამ იგი ნაადრევად გარდაიცვალა და საღვთო წიგნების ქართულ ენაზე თარგმნა ბოლომდე ვერ დაასრულა. სახიერმა ღმერთმა მოგვივლინა ამ საქმის ღირსეული გამგრძელებელი – ნეტარი მამა გიორგი, რომელმაც შეავსო და განასრულა ყოველივე, რაც ექვთიმემ ვერ მოასწრო.

მოძღვრის ღოცვა-კურთხევით, გიორგი წმინდა მთისკენ გაეშურა. მან ბევრი განსაცდელი განვილო. ერთხელ ადიდებულ მდინარეს მიაღება და გაღმა ვერ გადადიოდა. მეორე ნაპირზე გამოჩნდა თეთრ ცხენზე ამხედრებული ჭაბუკი, რომელმაც მიმართა: „შემოდი, ნუ გეშინია“, ხელი გაუწოდა და მშვიდობით გაიყვანა, თავად კი გაუჩინარდა. წმინდა მამა გიორგი ამბობდა ხოლმე, ეს დიდებული – მთავარმოწამე გიორგი იყო.

ღვთის შემწეობით, მან მშვიდობიანად მიაღწია წმინდა მთას<sup>1</sup>, სადაც სიხარულით მიიღეს და დააბინავეს. წმინდა მამა გიორგი გამოირჩეოდა მძიმე მარხებითა და დაუცხრომელი ღოცვით, სიმშვიდით, სიმდაბლით, მორჩილებითა და მოთმინებით. იგი უბრალო და უსწავლელი ეგონათ, რადგან ძმებს ემსახურებოდა და უსიტყვოდ ემორჩილებოდა ყოველივეში, თავდახრილი დადიოდა და მიწას ჩასცქეროდა, თვალს ვერავის უსწორებდა. ეს ჩვეულება მას სიბერემდე შერჩა.

ასე ემსახურებოდა და ემორჩილებოდა იგი მონასტრის ძმებს შვიდ წელიწადს. მის მოძღვარს შავ მთაზე ამბავი მიუვიდა, რომ გიორგის ჯერ არც მღვდელობის ხარისხი ჰქონდა მიღებული და არც წიგნების თარგმნას შედგომოდა. ამით შეწუხებულმა მთაწმინდაზე თავისი ღირსეული მოწაფე იოანე გაგზავნა და სულიერ შვილს ღოცვა-კურთხევის შეუსრულებლობის გამო საყვედური შეუთვალა.

გიორგი მონაზონი არაფერს იქმოდა თავისი ნებით. მან მხოლოდ მოძღვრის ბრძანებით, დიდი შიშითა და მოწიწებით მიიღო მღვდლობის ხარისხი, მცირე ხნის შემდეგ კი კელესიის „მთავრად“, ანუ მღვდელთა და მგალობელთა უფროსად დაადგინეს. მან უპირველეს ყოვლისა თარგმნა სვინაქსარი<sup>2</sup>, რომელიც არის ღვთისმსახურების საფუძველი. წმინდა მამა ექვთიმეს უკვე ნათარგმნი ჰქონდა სვინაქსარი,

მაგრამ შემოკლებულად.

სვინაქსარის შემდეგ გიორგიმ თარგმნა გამოკრებილი, ანუ საწელიწადო სახარება, ასევე გამოკრებილი, ანუ საწელიწადო ეპისტოლენი პავლე მოციქულისა და საწელიწადო საწინასწარმეტყველო<sup>3</sup>. ამის შემდეგ – დიდნი კურთხევანი<sup>4</sup>, განმარტება „დაბადებისა“<sup>5</sup> და სხვ. იგი დეკანოზად იყო დადგინებული და მთარგმნელობით საქმიანობას საეკლესიო მსახურებასთან ერთად ეწეოდა.

ნეტარი მამა გიორგი, როგორც მრავალგვარ საქმეში გამოცდილი, წმინდა და უმანკო, მონასტრის მთელმა ძმობამ ერთხმად აღამაღლა წინამძღვრის ტახტზე. იგი მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდა საძმოს, მაგრამ მონასტრის წესისამებრ სამგზის უყარეს წილი ორ სხვასთან ერთად და სამჯერვე მასზე შერედა არჩევანი. წმინდა მამა გიორგი დარწმუნდა, რომ ეს ღვთის ნება იყო და მიიღო წინამძღვრის კურთხევა.

ამის შემდეგ მან უფრო მძიმე მოღვაწეობას მიჰყო ხელი: სავსებით აიკრძალა ღვინის სმა, ყველის ჭამა. უხეში ძაბის ქვედა შესამოსელით იმოსებოდა, ზედა სამოსად კი ერთი ჩოხა ჰქონდა. მისი დეაწლი ყველასთვის მაგალითად იქცა და თავის სამწესოს საუკუნო ცხოვრების გზა არა მხოლოდ სიტყვით, საქმითაც უჩვენა. მან დაწვრილებით გამოიკითხა და გამოიძია წმინდა მამა ექვთიმეს ცხოვრება და მოღვაწეობა, ექვთიმეს ნეტარი მამის იოვანეს და სხვა წმინდა ბერების მოღვაწეობა, აგრეთვე ამ დიდებული ლაერის აშენების ამბავი, ყველა წესი და განგება, რაც წმინდა მამა ექვთიმეს თავისი მემკვიდრეებისთვის დაედგინა. წმინდა მამა გიორგიმ ყოველივე ეს მომავალი თაობების საწერტნელად აღწერა.

როგორც კი წინამძღვრად დაადგინეს, ნეტარმა მოღვაწემ უპირველესად ღმერთშემოსილი ექვთიმეს ნაწილებისთვის დაამზადებინა სანაწილე<sup>6</sup>. ეს ნაწილები ნათლისმცემლის კელესიიდან მან ფსალმუნებით, გალობითა და კეთილ-სურნელებათა კმევით გადმოასვენა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დიდებულ ეკლესიაში.

მანვე დაამზადებინა კეთილმშვენიერი სანაწილე, რომელშიც ჩაასვენა წმინდა ნაწილები: წმინდა სტეფანე პირველმოწამისა<sup>7</sup>, წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილისა<sup>8</sup>, წმინდა იაკობ დაჭრილისა<sup>9</sup>, წმინდათა კოზმან და დამიანესი (არაბ მოწამეთა)<sup>10</sup>, წმინდა ორმოცი მოწამისა<sup>11</sup>, წმინდა პანტელეიმონისა<sup>12</sup> და სხვა მრავალი წმინდანისა. ასევე მოამზადებინა მაცხოვრის საფლავის ევლოგიები<sup>13</sup>. ამ წმინდა ნაწილებთან ერთად, მან ჩაასვენა წმინდა მამის ექვთიმეს მარჯვენა ხელი და თავად ემსახურა ამ სიწმინდეების გადასვენებას. ამგვარი მსახურებით წმინდა მამა ექვთიმე თითქმის მთელი მსოფლიოს



სათაყვანებლად იქცა – მთაწმინდიდან მოყოლებული შავ მთამდე, ასევე მთელ ასურეთში, იერუსალიმსა და აღმოსავლეთში.

მანვე მოიძია წმინდა იოვანეს (ექვთიმეს მამის) ნეშტი, რომელიც მანამდე წმინდა მთავარანგელოზის ეკლესიაში იყო დასვენებული; ასევე მოიძია წმინდა ბერების – ნეტარი არსენის, ნინოწმინდელი ეპისკოპოსისა და ღვთიური ბერი იოვანე გრძელიძის<sup>2</sup> ნეშტი, რომლებიც დასვენებულნი იყვნენ მონასტრის გარეთ, სვიმონ მიმრქმელი<sup>3</sup> ეკლესიაში. წმინდა მამა გიორგიმ მათი წმინდა ნაწილებიც ამოასვენა და წმინდა მამა ექვთიმეს ნაწილთა ქვემოთ დაასვენა, დაახლო სამარტვილო<sup>4</sup> და დააწესა, რომ მათ წინ განუწყვეტლივ ყოფილიყო ანთებული სამი კანდელი და ეს წესი არ მოშლილიყო არასოდეს.

ამ საქმის განსრულების შემდეგ წმინდა მამა გიორგი ეკლესიისთვის ზრუნვას შეუდგა. ტაძრის სახურავს ტყვია ასძრობოდა და წყალი ჩადიოდა. კონსტანტინოპოლში იგი კეთილშესახურ მეფე კონსტანტინე მონომაქს<sup>5</sup> ეახლა. მეფემ სიხარულით აასრულა ბერის თხოვნა და ბრძანა, სამეფო სახსრებიდან გაეცათ ტყვია, რომლითაც მამა გიორგიმ ეკლესია გადახურა. გარდა ამისა, ნეტარმა მამამ მეფისგან მონასტრის ძველი დოკუმენტების დამტკიცება და დამოწმება გამოითხოვა, მონასტრის მამულების საზღვრებიც გააფართოვა.

იმ დროს, როცა მეფე ბაგრატ<sup>6</sup> და დედამისი, მარიამ დედოფალი<sup>7</sup> კონსტანტინოპოლში ჩამობრძანდნენ, წმინდა მამა გიორგიც მობრძანდა. როცა იგი მეფემ და დედოფალმა იხილეს, დიდად გაიხარეს, რადგან ბევრი რამ სმენოდათ მისი მოღვაწეობის შესახებ. მათ ერთი საკვირველი და ყოვლად დაუჯერებელი ამბავი შეიტყვეს: სამეფო ტყეებს რაღაც მხეცები შესწევდნენ, რომლებიც მეფის სანადიროდ განკუთვნილ მხეცებს ანადგურებდნენ. მეფემ ბრძანა, მოეხმოთ სვიმონ მოგვის შთამომავალნი, რომლებიც ჯადოქრობით იყვნენ განთქმულნი. მათ თავიანთი გრძნეულებით უნდა ამოეწვეითათ ეს მხეცები. ამ ჯადოქრებმა მრავალი ნადირი ამოხოცეს. ბაგრატ მეფემ გამოიკითხა მათგან, როგორ იქმოდნენ ამ ყოველივეს. მათ აუხსნეს: „მეფეო, ჩვენ ვაჯადოებთ ღეშს და იმ ადგილას დავაგდებთ ხოლმე, სადაც მხეცები მოდიან. ჩვენ ხეზე ავძვრებით და ნადირის ხმით ვუხმობთ მხეცებს. ისინი მოდიან, შეჭამენ მოჯადოებულ ხორცს და იხოცებიან. მაგრამ ის მხეცი, რომელიც დიდ შაბათს არის შობილი, არც მოდის და არც ხორცს ეკარება“.

მეფემ ბრძანა, ყოველივე ეს საკუთარი თვალით უნდა ვიხილო, სხვაგვარად ვერ ვირწმუნებო. მოიყვანეს ძაღლი, რომელიც დიდ შაბათს არ იყო შობილი. მიუდგეს მას მოჯადოებული ხორცი. იქ წმინდა მამა გიორგიც იმყოფებოდა. მას ცხოველი შეებრადა, ამასთან არ ისურვა, რომ ამგვარი საქმე აღსრულებულიყო არაქრისტიანთა

შორის, მით უფრო – მეფეთა წინაშე. ამიტომ ნეტარმა მამამ ხორცს საღვთო ნებაზე მინდობით გადასახა ჯვარი და გაეიდა. ძაღლმა შეჭამა ხორცი, მაგრამ არ მოკვდა. ყველა მიხვდა, რომ ეს წმინდა მამის მადლით აღსრულდა. შემდეგ მოიყვანეს მეორე ძაღლი, წმინდა ბერი კი იქაურობას მორიდეს. ძაღლმა შეჭამა ხორცი და იქვე მოკვდა.

როდესაც ბაგრატ მეფემ და მისმა მთავრებმა ეს სასწაული იხილეს, სიხარულით აღივსნენ და კონსტანტინე მონომაქს უამბეს. მანაც დიდად გაიხარა, ბაგრატ მეფე კი ამბობდა, ჩემთან რომ იყოს ეს წმინდა მამა, არც გრძნეულება შემაშინებს და არც საწამლავიო.

ბაგრატ მეფე დიდი სიყვარულით განიშლავდა ნეტარი მამისადმი და ყველა ღონეს მიმართა, რომ თავის ქვეყანაში წამოეყვანა. სამღვდელთმთავრო საყდართა<sup>8</sup> შორის გამოირჩეოდა საყდარი ჭყონდიდისა, რომლის წინამძღვარიც გარდაცვლილი იყო. მეფე ბაგრატ იარაერთგზის ეცადა, გიორგისთვის ჩაებარებინა ამ საყდრის მართვა-გამგეობა. მაგრამ ღირსი მამა ყოველმხრივ გაურბოდა ამქვეყნიურ შფოთსა და კაცობრივ დიდებას. მან მონასტრის ყველა საქმე მოაგვარა და, ღვთის ნებით, ღლავაში დაბრუნდა. მონასტრის სამშო დიდი სიხარულით შეეგება თავის წინამძღვარს, რომელიც რამდენიმე ხანს განაგებდა მონასტერს.

დიდ მოძღვარს წინასწარმეტყველების მადლიც აქონდა მონიჭებული ღვთისგან.

საბერძნეთში ტახტი თეოდორა დედოფალს<sup>9</sup> ეპყრა, რომელმაც ბაგრატ მეფეს თხოვა, მისი ასული მართა<sup>10</sup> მიეშვილებინა. ბაგრატ მეფემ დიდი სიხარულით აღუსრულა ეს თხოვნა. ბაგრატის დედა მარიამი და წმინდა მამა გიორგი კონსტანტინოპოლში იმყოფებოდნენ რაღაც საქმის გამო. ბაგრატ მეფის ასული მართა სამეფო ქალაქში სწორედ იმ დროს შემოიყვანეს, როდესაც თეოდორა დედოფალი გარდაიცვალა. იხილა რა მართა წმინდა მამამ, თქვა: „ყველამ იცოდეს, რომ დღეს დედოფალი გაეიდა და დედოფალი შემოვიდა“. მაშინ მართა კონსტანტინოპოლში დიდხანს არ გაჩერებულა, უკანვე წაიყვანეს. მაგრამ დადგა ეამი, და ამჯერად კონსტანტინე დუკაშ<sup>11</sup> მოსთხოვა ბაგრატ მეფეს ასული მართა თავის რძალად.

ასე განაგებდა ნეტარი მამა თავის სამწყსოს: ხან ქალაქში ჩადიოდა ღვთისმსახურ მეფეებთან, აგვარებდა სამონასტრო საქმეებს და მათა ცხოვრებას აწესრიგებდა. მაგრამ ღვთივსულიერ წიგნთა თარგმნა ფერხდებოდა. ამიტომ შენდობა სთხოვა სამშოს და მონასტერს გამოეთხოვა. ისე წამოვიდა მონასტრიდან, რომ საგზალიც არ წამოუღია. იგი ორგზის განეშორა მონასტერს. პირველად იმ მიზეზით, რომ არ უნდოდა წინამძღვრობა და განმარტოებული ცხოვრება სურდა. ამიტომ ყველასგან ფარულად შავ მთაზე მივიდა. გიორგი შეყვნიებულმა,



დიდმა მოძღვარმა, წმინდა მამას არ მოუწონა სამწყვოს მიტოვება. მოძღვრის ბრძანებით, იგი კვლავ დაბრუნდა წმინდა მთაზე და სამსომ აიძულა, კვლავ ეტვირთა წინამძღვრობის ჯვარი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ნეტარი მამა გიორგი მეორედ წავიდა მონასტრიდან, ამჯერად – საღვთო წიგნების თარგმნის გამო. მან კონსტანტინოპოლში მეფისგან ითხოვა სამონასტრო ვალდებულებისგან განთავისუფლება. მეფე აღარ შეეწინააღმდეგა. იმხანად კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა დედოფალი მარიაში, ბაგრატ მეფის დედა. მისი დახმარებით, წმინდა მამამ სამეფო წერილი მიიღო და მივიდა შავ მთაზე, სადაც დიდი სიყვარულით მიიღეს.

დედოფალი მარიაში იერუსალიმის მოსალოცად აპირებდა გამგზავრებას, რაც ანტიოქიის მმართველსა და პატრიარქს უნდა უზრუნველყო. იერუსალიმში იმხანად არაბები ბატონობდნენ და ამიტომ სასურველი არ იყო, დედოფალი არაბთა სამფლობელოში წასულიყო. ამის შესახებ დედოფალს მისი მოძღვრის, წმინდა მამა გიორგის პირით შეატყობინეს. რაკი თვითონ ვეღარ მიდიოდა, დედოფალმა თვით მამა გიორგის სთხოვა, რომ მისი სულისთვის ელოცა იერუსალიმში და იქაური მონასტრებისთვის, ასევე გლახაკთა და დავრდომილთათვის განკუთვნილი შესაწირავებიც თან წავლეს. ბერს ემძიმა ეს საქმე, რადგან ისევ მოსცდებოდა ღვთივსულორი წიგნების თარგმნას, მაგრამ დათანხმდა. ღმერთის შეწევნით, ერთ მოწაფესთან ერთად მშვიდობით ჩაადგნა იერუსალიმში და დიდად შეეწია ჯვრის მონასტრს. ბერი პროხოზე<sup>1</sup> ევედრებოდა ნეტარ მამას, რომ მის მიერ თარგმნილი წმინდა წიგნები მიეწოდებინა, რაც მხოლოდ პროხოზეს გარდაცვალების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

დედოფლის თხოვნის აღსრულების შემდეგ ნეტარი გიორგი შავ მთაზე დაბრუნდა და თარგმნა განაგრძო. უმეტესად ღამით თარგმნიდა წიგნებს, თარგმნიდა შეუსვენებლად, უფრო მეტად ღამით, სულიწმინდის მადლით, მაგრამ ამასთანავე, დაუბრკოლებლად აღასრულებდა თავის კანონს<sup>2</sup> და მოსვენების უფლებას არ აძლევდა თავს. მან თარგმნა ის წიგნები, რომლებიც ჩვენს ენაზე მანამდე თარგმნილი არ იყო. მანვე გამართა ადრე არაჯეროვნად თარგმნილი წიგნები, რომლებიც უმეტესად გადამწერთა ხელით იყო შერყენილი. წმინდა მამა გიორგიმ ასევე შეავსო და განავრცო მამა ევთიმეს მიერ თარგმნილი შემოკლებული ან არასრულად თარგმნილი წიგნები.

მისი ღვაწლისა და მადლის შესახებ ანტიოქიის პატრიარქმა პეტრემ<sup>3</sup> შეიტყო და ნეტარი მამა საღვთო წერილზე სასაუბროდ მოიხმო. მამა გიორგის ცოდნამ და გამოცდილებამ მასზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. პატრიარქი ხშირად უზიარებდა მამა გიორგის თავის მიხედვებს და საეკლესიო საქმეების გამო

ეთათბირებოდა ხოლმე. როდესაც ანტიოქიაში ხანძარი გაჩნდა და წმინდა მოციქულ პეტრეს ტაძარი დაიწვა, პატრიარქი პეტრე ღრმა მწუხარებაში შეიპყრო. წმინდა მამა გიორგიმ მას სიტყვითა და სულიერი დარტყმით სცა ნუგეში, რითაც მისი წუხილი და ურვა განაქარვა. პატრიარქი დიდად კმადლობდა მას და ეუბნებოდა: მწუხარების გამო ჩემი სული ჯოჯოხეთამდე იყო ჩასული და შენ მიხსენიო.

მცირე ხნის შემდეგ პატრიარქი პეტრე გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა თეოდოსი<sup>4</sup>. დიდად განსწავლულმა, სულიერი და ხორციელი ცხოვრებით გამოცდილმა პატრიარქმა ასეთ ვითარებაში გაიცნო წმინდა მამა გიორგი, რომელსაც მანამდე არ იცნობდა:

მამა გიორგი ხან კალიპოსში<sup>5</sup> იმყოფებოდა და ხან – სვიმეონწმინდაში<sup>6</sup>. სვიმეონწმინდის ზოგიერთმა მკვიდრმა განიზრახა ამ საგანიდან ქართველთა განდევნა იმის იმედით, რომ პატრიარქი თეოდოსი ჯერ კიდევ არ იცნობდა ჩვენს ერს, ავი განზრახვით მისულებმა პატრიარქს შეპლადადეს: „წმინდაო მეუფეო, დიდი გასაჭირისგან გვიხსენი და ამ უცხო მოდგმის კაცთაგან განგვათავისუფლე, რადგან ჩვენს მონასტერში სამოცი კაცია, რომლებიც თავს ქართველებად ასახელებენ; ჩვენ არ ვიცით, რას მეტყველებენ ან რა სარწმუნოება აქვთ, მათ კი მონასტრის ნახევარი დაუკავებიათ“.

გაკვირვებულმა პატრიარქმა იკითხა: „როგორ შეიძლება, რომ ქართველები მართლმადიდებლები არ იყვნენ? ნუთუ მათ შორის არაყინ იცის ბერძნული?“

მოწმიანებმა, ნებისთ თუ უნებლიეთ, აღიარეს, რომ ქართველებს ჰყავდათ ერთი მწიგნობარი, რომელიც ბერძნულ წიგნებს ქართულად თარგმნიდა. პატრიარქმა მისი მოყვანა ბრძანა. წმინდა მამა გიორგისთან სულიერ საკითხებზე საუბარით პატრიარქი მის სიწმინდესა და მადლმოსილებებაში დარწმუნდა და სთხოვა, აეხსნა, რა სარწმუნოება ჰქონდათ ქართველებს და რით განსხვავდებოდნენ ისინი ბერძნებისგან. წმინდა მამა გიორგიმ ბრწყინვალედ იქადაგა ჩვენს შეუძრავ მართლმადიდებლურ აღმსარებლობაზე. პატრიარქი დარწმუნდა ქართველების უმწიკვლობაში და სვიმეონწმინდელი ცილისმწამებლები დასაჯა, მაგრამ ნეტარმა გიორგიმ უშუამდგომლა მათ და პატრიარქმა გაათავისუფლა ისინი.

სხვა დროს ვიდაც არაკეთილმოსურნე ადამიანებმა პატრიარქს მოახსენეს, რომ საქართველოს გულისა და მისი მღვდელთმთავარი არც ერთი პატრიარქის ძალაუფლებას არ ემორჩილებოდნენ და თვითონვე აკურთხებდნენ კათალიკოსებსა და ეპისკოპოსებს. ეს კი, მათი აზრით, არ იყო მართებული, რადგან მათთან საქადაგებლად

თორმეტ მოციქულთაგან არც ერთი არ ყოფილა. ამიტომ, მათი ეკლესია უნდა დამორჩილებოდა ანტიოქიის პატრიარქს როგორც მოციქულთა თავის პეტრეს ტახტს, მით უფრო, რომ ქართველები, მათივე აზრით, უმეტარი ხალხი იყო და სამწყსოც მცირე ჰყავდათ.

პატრიარქმა კვლავ იხმო ნეტარი ბერი გიორგი და ასე მიმართა: „შენ, ნეტარო მამაო, მართალია, ეროვნებით ქართველი ხარ, მაგრამ განსწავლულობითა და ცოდნით ჩვენი სწორი ხარ. ამიტომ, აღბათ დამეთანხმები, რომ თქვენი ეკლესია და თქვენი მღვდელთმთავრები ანტიოქიის სამოციქულო ეკლესიის ხელქვეითი უნდა იყვნენო. პატრიარქმა მას ურჩია, ამის შესახებ ქართველთა მეფისთვის მიეწერა, რადგან იცოდა, რომ იგი წმინდა ბერის სიტყვას ითვალისწინებდა.

ნეტარმა ბერმა პატრიარქს მშვიდად და წყნარად მიუგო:

ვინ არიან ის უგუნური მოთათბირენი, რომელთაც ეს საქმე გირჩიეს? ანდა უგუნურად რად შევირაცხავს ქართველთა წრფელი და უმანკო ერი? მოატანინე მათ „ანდრია მოციქულის მიმოსვლის“ წიგნი და იქიდან შეიტყობ სიმართლეს.

მართლაც მოიტანეს ეს წიგნი და მის წაკითხვამდე წმინდა ბერმა გიორგიმ კვლავ მიმართა პატრიარქს:

წმინდაო მეუფეო, შენ ამბობ, რომ მოციქულთა თავის პეტრეს საყდარზე ვზივარო. ჩვენ კი ვართ სამწყსო ქრისტეს მიერ პირველად დამოწაფებულისა – ანდრია პირველ-წოდებულისა, რომელმაც თავის ძმას, პეტრეს მოუწოდა. მის მიერ ვართ მოქცეულნი და ქრისტეს ნათლით განათლებულნი. ნიკოფსიაშია<sup>1</sup> დაკრძალული ჩვენი ქვეყნის მეორე მომაქცეველი – სვიმონ კანანელი<sup>2</sup>, ერთი თორმეტ მოციქულთაგანი, და მას შემდეგ, რაც ვცანიტ ერთი ღმერთი, მისთვის აღარასოდეს გვიღალატია და არც არასოდეს გადახრილა მწვალებლობისკენ ჩვენი ერი.

შემდგომ, თითქოსდა ხილავდით, წმინდა ბერმა განაგრძო: განა მოწოდებული არ უნდა დაემორჩილოს მომწოდებელს? ამიტომ, თუ დამორჩილებაზე მიდგა საქმე, პეტრე უნდა დაემორჩილოს ანდრიას. ბოლოს კი დასძინა: წმინდაო მეუფეო, თქვენ რომ ესოდენ უმეტრად და მსუბუქად მიგვიჩნევთ ჩვენ, ქართველებს, თქვენი თავი კი ბრძნად და მძიმედ წარმოგიდგენიათ, უნდა იცოდეთ, რომ იყო დრო, როცა მთელ საბერძნეთში ვერსად იპოვებოდა მართლმადიდებლობა, რის გამოც იოანე გუთელი ეპისკოპოსი<sup>3</sup> მცხეთაში იკურთხა ეპისკოპოსადო.

პატრიარქი და მისი ეპისკოპოსები დიდად განაცვიფრა წმინდა მამა გიორგის გონებაბახვილობამ და განსწავლულობამ. იმ დღიდან პატრიარქმა და ყველა ანტიოქელმა ისე შეიყვარა ბერი, როგორც მამა და სულიერი მოძღვარი.

## ქმინა გიორგი პაქმინელი საქართველოში, მასწავლებელი და აღმსრულებელი



აგრატ მეფეს აუწყეს, რომ ნეტარმა გიორგიმ დაასრულა საღვთო წიგნების თარგმნა და ისინი შავი მთის ყველა მონასტერმა გადაიწერა, ხოლო აღმოსავლეთის (ქართლის) ეკლესიებს სრულად არ მოეპოვებოდათ. მეფემ და დედოფალმა მარიამმა, ასევე კათალიკოსებმა და მღვდელთმთავრებმა, გიორგის ერთად მისწერეს თხოვნა, რომ ღირსი მამა აღმოსავლეთში (ქართლში) მობრძანებულიყო. მათ სურდათ, ღოცვა-კურთხევა მიეღოთ მისგან, ეხილათ მისი ღვთიერმონიჭებული ნამუშავეები და განათლებულიყვნენ.

ნეტარმა გიორგიმ უარი თქვა იქ წასვლაზე, რადგან ეშინოდა მღვდელთმთავრად არ დაედგინათ. ამის პასუხად მეფემ საკუთარი ხელით მისწერა და მტკიცედ აღუთქვა, რომ მის უნებურს არარას შეამთხვევდა. მეფემ მრავალგზის გაუგზავნა გიორგის წერილობითი მიწვევა. მაშინ წმინდა ბერმა მოციქულთა მსგავსად ისურვა შეეტყო, იყო თუ არა ღვთის ნება მისი ქართლში გამგზავრება. მსგავს შემთხვევაში მოციქულები დაწერდნენ წილს და საკურთხეველის ქვეშ დადებდნენ. მღვდელი ეამს სწირავდა და, რომელი წილიც ამოვიდოდა, ის იქნებოდა დასტური ღვთის ნებისა. ნეტარი გიორგი დარწმუნდა, რომ მისი გამგზავრება ღვთის ნება იყო და მეფეს აუწყა ამის შესახებ. გახარებულმა მეფემ თავისი ახლობელი იოვანე გამოგზავნა და იმდენი სახედარი და განძი გამოატანა, რამდენიც საკმარისი იქნებოდა მისთვის და მისი მოწაფეებისთვის.

წმინდა მამა და მისი სულიერი შვილები საქართველოსკენ მიმავალ გზას დაადგნენ. მოგზაურობა საკვირველი მთიდან დაიწყო, მოიღოცნეს წმინდა სვიმეონისა და მისი დედის მართას საფლავი, შემდეგ კი ანტიოქიიდან<sup>4</sup> გამოვიდნენ. თურქებს მთელი შუამდინარეთი, ისაერია<sup>5</sup> და საბერძნეთი დაეპყროთ, ამიტომ მოგზაურებმა გეზი შეცვალეს და სებასტიისკენ<sup>6</sup> გაემართნენ. მათ არ იცოდნენ, რომ თურქები იქაც იყვნენ შესულნი, და გზას

განაგრძობდნენ. უეცრად ხმა შემოესმათ: „საით მიდიხართ?“ – ეს ანგელოზის ხმა იყო. მათ მხარი იცვალეს და მთისკენ წავიდნენ. გაჭირვებით მიაღწიეს კესარიამდე. აქედან ზღვას მიმართეს, რადგან ხმელეთით აღარ შეიძლებოდა გზავრობა, და მიაღწიეს ევქაიტს, მოიღოცეს წმინდა თევდორეს საფლავი, საიდანაც ზღვისპირა ქალაქ სამისონში მივიდნენ, იქ სახედრები გაყიდეს და ნავით ფოთში გაემგზავრნენ, ფოთიდან კი სახედრებით ქუთაისში ჩავიდნენ.

მეფე ამ დროს ქართლში იმყოფებოდა. მამა გიორგის ჩამოსვლის ამბავი რომ შეიტყო, ძლიერ გაუხარდა, მღვდელთმთავრები და დიდებულები შეაგება, ხოლო თავად ღვთის-მსახური მეფე კარვის კართან მიეგება, მხურვალედ მოიკითხა და კურთხევა მიიღო ნეტარი მამისგან.

მეფემ დიდი პატივი მიაგო მოძღვარს და უბოძა დიდებული მონასტრები: ქართლში – ნეჭვი, ხოლო კლარჯეთში – შატბერდის დიდი ლავრა.

მეფემ ნეტარ ბერს აღსაზრდელად მიუყვანა თავისი ვაჟი, გიორგი უფლისწული. მოძღვარმა მას მისცა ღვთიესულიერი წიგნები: სწავლანი და მცნებები, რომლებითაც მომავალი მეფე უნდა გაწვრთნილიყო და უწესო კაცთაგან დაეცვა თავი, რომ რაიმე სიმრუდე არ ესწავლა მათგან. უფლისწული ისე შეეთვისა მოძღვარს, როგორც საყვარელი შვილი – კეთილ მამას და ერთგული მოწაფე – თავის მასწავლებელს.

ღვთის მადლით მოსიღმა მამა გიორგიმ მთელი იბერია გაანათლა და აღკვეთა ყოველგვარი უწესობა, როგორც აშკარა, ისე ფარული. ჯერ თვით მეფე ამხილა, სიბრძნითა და გონიერებით განსწავლიდა, რომ არ მიეყიდათ საეპისკოპოსო პატივი უწესო, უსწავლელი, ამა სოფლის სულის მქონე კაცთათვის, არამედ გამოერჩიათ ღირსეული და წმინდანნი, მონაზვნობით აღზრდილნი, რომ მათ ღოცვითა და მადლით მშვიდობიანად ეწინააღმდეგებოდნენ ქვეყნისთვის.

გიორგი შეაგონებდა მეფეს, რომ ყოფილიყო ობლებისა და ქერივების მოსარჩლე, ასევე მოძღვრავდა სამეფო სამსჯავროსა და სასამართლოს, რომ მიუკერძოებლად განესაჯათ მდაბიონი და გლახაკნი; წმინდა ბერი მათ ურჩევდა, ყოფილიყვნენ მოწყალენი, რადგან „წყალობა და სამართალი უყვარს უფალს“, – როგორც ამას დავით მეფესაღმუნე ბრძანებს. ნეტარი მამა მათ ასწავლიდა, რომ ყოველი უწმინდურობა და უწესობა უპირველესად საკუთარი თავისგან უნდა მოეკვეთათ და შემდეგ – ხალხისგან.

ასევე მოძღვრავდა მღვდელთმთავრებს, რომ არ დაესხათ ხელნი უღირსი მღვდლებისთვის, ოქრო და ვერცხლი კი არ ეტროვებინათ,

არამედ უპირველესად გაეცათ იგი გლახაკთა და უპოვართათვის. მღვდლებსა და დიაკონებს ასწავლიდა, რომ ყოფილიყვნენ ეპისკოპოსის მორჩილნი. ასევე მონაზვნებს, მოწესეებსა და მთელ ხალხს შესაფერისად განანათლებდა: უსწავლელთ ასწავლიდა, სწავლულთ – ნასწავლს შეახსენებდა, მდიდრებს მოწყალებაზე მიუთითებდა, გლახაკებს – მოთმინებაზე დაცემულებს აღადგენდა და სუსტებს განაძლიერებდა. იგი რწმენით განამტკიცებდა ყველას, ვინც კი მას მიენდობოდა.

იყო ერთი ეპისკოპოსი, მეტად მდიდარი და წარჩინებული, რომელიც ამკობდა და განამშვენებდა ეკლესიებს, მაგრამ გლახაკთა მოწყალებაზე არ ფიქრობდა, თუმცა თავისი სულისთვის აღაპებს უკვეთდა მონასტერში. ეს ეპისკოპოსი მამა გიორგის დაემოწაფა და თავისი გულისთქმა განუცხადა, რაზეც ასეთი პასუხი მიიღო: „კოი მეუფეო, ეს ბოროტი მტრის ბრძოლაა, რომ ეკლესიის შემკობისა და აღაპების მიზეზით გლახაკთა მიმართ უმოწყალობით დაგდუბოს, რადგან ღმერთი იმას კი არ მოგკითხავს, რატომ არ შეამკეთ ეკლესიებო, არამედ გეტყვის: მშოოდა და არ მომეცით საჭმელიო.“

ასეთი სწავლებით ბერმა ეპისკოპოსი გლახაკთა მოწყალების სურვილით აღავსო.

წმინდა მამა გიორგის დეაწლით ჩვენი ქვეყანა განათლდა და ურიცხვი სული დაადგა ცხოვნების გზას. ამ ნეტარმა და საკვრველმა ბერმა, მაცხოვრის კაცთმოყვარეობას მიმსგავსებულმა, კაცთა ბუნებაზე აღმატებული საქმე წამოიწყო: არა თუ ათი ან ოცი, ან ორმოცი – არამედ ოთხმოცი სული იტვირთა, რომელთაგან ზოგი იმდენად მცირეწლოვანი იყო, რომ კვლავაც დედის რძით იკვებებოდა, სხვები ახლად გამოსულნი იყვნენ ჩვილობიდან და ყრმად იწოდებოდნენ, მესამენი – მოზარდნი, ტაბუკად წოდებულნი, მეოთხენი – უკვე ზრდასრულნი, რომლებიც თავისი ნებით დაემოწაფნენ ბერს. ისინი ისე გაჰყვნენ ამ წმინდა კაცს, როგორც ცხვრები – კეთილ მწყემსს.

რა იყო ამათი შეკრების მიზეზი?

იმხანად ჩვენი აურაცხელი ურჯულოების გამო ღვთის რისხვა დაგვატყდა თავს: მთელ ქართლში საშინელი შიმშილობა ჩამოვარდა, სასურველი და საყვარელი შვილები მშობლებისთვის მომაბეზრებლად და საძულველად იქცნენ. ამ დროს მამა გიორგიმ მასზე მინდობილი ოთხმოცი სული გადაარჩინა: ჯერ მოიძია თავისი ახლობლები, ძალზე გაჭირვებული ორი დისწული და მათი შვილები, მცირეწლოვანი ყრმები. სხვა ყრმანი სხვადასხვა ადგილიდან შეკრიბა: ზოგი ქალაქში იპოვა, ზოგი – სოფლებში, სხვები კი სხვებით უდაბურ ადგილებში, ხოლო ზოგი მონობისგან გამოიხსნა. მთელ



ქართლს მოუფინა ეს საკვირველი საქმე ნეტარი ბერისა. მშობლებს ყოველი მხრიდან მოჰყავდათ აღსაზრდელი ყრმები: ზოგს კარებთან უტოვებდნენ და გარბოდნენ, სხვანი, გონიერნი, თვითონ გამოზრდოდნენ თავიანთი მშობლებისგან.

დიდმა მოძღვარმა ყოველი მათგანი გამოზარდა და ღვთივსულიერი სწავლებით სრულყო: ასაკის ზრდასთან ერთად საღვთო წერილის სიტყვებზე აგება მათ, სიტყბუკეში შესულთ გონება და სულიერი ზედგა განუვითარა, ხოლო სულიერად და ხორციელად აღზრდილნი მათსავე დამბადებულ ღმერთს მიუძღვნა. ამ მაღალ საქმეს ნეტარი ბერი განსაკრთომელი ერთგულებითა და თავდადებათ ემსახურა: სხვა მასწავლებელი ან მოძღვარი კი არ მოიხმო, არამედ აღსაზრდელთა დიდ სიმრავლეს თვითონ ასწავლიდა და წვრთნიდა დაუღალავად, დღენიადაც იღვწოდა რა მათი წარმატებისთვის. მართალია, მოწაფეები უფროს-უმცროსნი იყვნენ, მაგრამ მოძღვარმა ისინი განსწავლულობით აქცია თანამოსაყვებად. ამასთან, თავად მოძღვარს ღოცვის კანონი არასოდეს შეუკეცია, არც მარხვა და ყოველდღიური მოღვაწეობა შეუწყვეტია.

ამ ყრმათა შეკრების პირველი მიზეზი იყო ღმერთთან მიმსგავსებული ნეტარი ბერის მოწველება, რაც განსაცდელის გამს გამოავლინა მან. მეორე მიზეზი ის იყო, რომ მისგან თარგმნილ მრავალ წიგნს უნდა შეთვისებოდა, მაგრამ რაკი შეუძლებელი იყო ასაკოვანთა და ზრდასრულთა განსწავლა, ამიტომაც წვრთნიდა ყრმათა ჩვილსა და რბილ ბუნებას, რომლებიც ისე გამოაწრთო, რომ მისი სწავლანი კეთილად შეიტკბეს. მესამე მიზეზი განგებულება იყო ღვთისა, რადგან წმინდა მთაზე ყოფნისას მოძღვარმა თავად გამოსცადა ხუცესთა და მგალობელთა მომზადების ნაკლოვანება, რომელთა განსწავლასაც დიდი შრომა შეაღია მან. ამასთან, მთაწმინდა შორს იყო კონსტანტინოპოლისგან და სწავლულნი იშვიათად ჩამოდიოდნენ აქ, ხოლო ვინც ჩამოდიოდა, დიდხანს არ რჩებოდა და ათონის დიდებული ეკლესია ცარიელდებოდა. ნეტარმა მამამ ამიტომ გამოზარდა თავის შვილთა კრებული მღვდლებად და მგალობლებად როგორც წმინდა მამა ექვთიმესთვის განმზადებული პატიოსანი ძღვენი. წიგნთა თარგმნის ტაღანტს წმინდა ბერმა სხვა ტაღანტიც დაუმატა – ამდენი სული განსწავლა და აღზარდა.



## დიდი მოძღვრის გარდაცვალება

იორგი მთაწმინდელმა ქართლში ხუთი წელი დაჰყო. რაც კი რამ ნაკლი ჰყოფა საეკლესიო წიგნებსა თუ წესებში, შეასწორა და განმარტა. მრავალმა საეპისკოპოსო საყდარმა გადაიწერა მისი წიგნები. ნეტარმა ბერმა მეფეს, მთავრებს, მდიდრებსა და გლახაკებს საუკუნო ცხოვრების გზა ასწავლა. ამგვარად განამრავლა და ააღორძინა მან ღვთიებოძებული ნიჭი – წიგნთა მთარგმნელობა.

ნეტარმა მამამ ზეციური ხმობით იგრძნო აღსასრულის მოახლოება და წმინდა მთაზე დაბრუნება ისურვა, რომ იქ აღსრულდებოდა.

ამ დროს სულთან<sup>10</sup> ქართველთა ერის გასანადგურებლად დაიძრა თავისი ქვეყნიდან. მამა გიორგი ოთხმოც სულიერ შვილთან ერთად ჯავახეთის ახალქალაქში იმყოფებოდა. შუადღისას იგი შემოვრთებამ მოიცვია და თქვა, რომ ქალაქზე ღვთის რისხვა იყო მოსალოდნელი, და ბრძანა, დაუყოვნებლივ გამეზავრებულყვნენ. სამი დღის შემდეგ მართლაც დაატყდა რისხვა ქალაქს და, ამ ქალაქის მკვიდრთა გარდა, ჩვენი სამეფოს წარჩინებული მთავრები და ერისთავებიც დაიხოცნენ.

მრავალგზისი ღოცვისა და ღვთისადმი ვედრების შემდეგ ნეტარი მამა გიორგი გულდაჯერებული ეახლა მეფე ბაგრატს და ჰმადლობდა მას მაცხოვრებელი სარწმუნოებისა და სწავლების კეთილად შეწყნარებისთვის, ასევე იმ სიყვარულის გამო, მის მიმართ რომ გამოავლინა. შემდეგ თხოვნით მიმართა: როგორც მე დავემორჩილე შენს მოწოდებას და უცხოობაში მეოფმა მრავალი შფოთისგან განრიდებული ცხოვრება დავტოვე, ახლა შენც დავემორჩილე ჩემს სიგლახაკეს და კვლავ, როგორც მრავალგზის ადრე გამეზავნე ჩვენი სულიერი მამების სამარხისკენ, შენ ამქვეყნის მეფემ გამეზავნე ამქვეყნის მეფესთან იმ ქალაქში, კონსტანტინოპოლში, რომელიც ყველას შემომკრებია, რომ იქიდან ზეციურ მეფესთან წარვიგზავნო.

ამ სიტყვებით წმინდა ბერმა მოაღბო მეფის გული, რომელმაც წერილითა და მცველთა თანხლებით გაგზავნა დიდი მოძღვარი მეფე კონსტანტინე დუკასთან. ისინი ნავით გაემგზავრნენ, მრავალი განსაცდელი დაითმინეს და წმინდა მამის ღოცვის მადლით გადარჩნენ.

მეფის კარზე წარგზავნილი იყო ნეტარი ბერი პეტრე, ყოფილი პატრიციუსი. მეფე კონსტანტინეს მან აუწყა ღირსი მამის ჩამოსვლის შესახებ. მეფემ მეორე დღესვე მოიწვია იგი. დიდმა ბერმა სამეფო კარის წესისამებრ თავიანთი სცა, ხობა შეასხა და ღოცვა-კურთხევა მიუძღვნა მის მეფობას. იგი საუბრობდა თავმდაბლურად და მოკრძალებით, რითაც თავის სულიერ ძალასა და უშფოთველობას წარმოაჩენდა. მეფემ ბაგრატ მეფის წერილი წაიკითხა, რომლითა უფრო მეტად შეიცნო, რომ მის წინაშე იდგა ანგელოზთა მსგავსი მოღვაწე. მეფე ბაგრატი სთხოვდა მეფე კონსტანტინეს, ისე მიეღო იგი, როგორც მის მეფობას ეკადრებოდა.

კონსტანტინემ ნეტარი მამის ღირსება გულისხმავი და შეპირდა მას, რომ ყოველივეს აღუსრულებდა, რასაც ინიებებდა.

მეფემ სულიერ საკითხებზე წამოიწყო საუბარი. მის გვერდით იყვნენ რომაელი და სომეხი წარწინებულები, მათ შორის – გაგიკ კარელი და სომხეთის სხვა დიდებულნი. მშვიდობიანი ჯამი იდგა.

მეფე მართლმადიდებელთა რჯულს შეეხო და იკითხა, იყო თუ არა რაიმე განსხვავება ქართველთა სარწმუნოებასა და ბერძენთა სრულ და უცთომელ სარწმუნოებას შორის. ნეტარმა ბერმა გიორგიმ იმგვარი სიმაღლითა და ღვთიებრწინებულებით განმარტა მართალი სარწმუნოება ქართველთა ნათესავისა, რომ მეფე და ყველა მასთან მყოფნი გააკვირვა. ბოლოს კი მეფეს უთხრა: „მას შემდეგ, რაც ერთგვის შევიცანით და მივიღეთ მართალი სარწმუნოება, არც მარცხნივ მივდრეკილვართ და არც მარჯვნივ, და არც მივიდრიკებით, თუ ღმერთი ინიებებს“.

მეფემ რამდენიმე საღვთისმეტყველო შეკითხვა დასვა, რასაც ღვთიებგანბრძნობილმა ბერმა სარწმუნო პასუხი გასცა.

მეფემ ძალიან გაიხარა, მადლობა შესწირა ღმერთს და შეაქო ნეტარი ბერი იმ დიდი სულიერი სარგებლობისთვის, რაც მისგან მიიღო, თან შეპირდა, ყოველგვარ თხოვნას აღგისრულებო.

კონსტანტინოპოლში ამ დროს იმყოფებოდა წმინდა მთის წინამძღვარი, რომელმაც ნეტარი ბერის ხილვით დიდად გაიხარა და ამცნო, მონასტერი მზადაა შენს მისადგებადო. მეორე დღეს მეფემ ნება დართო გიორგის, დაბრუნებულიყო თავის მონასტერში და ობლებიც თან წაეყვანა.

24 ივნისს იოანე ნათლისმცემლის შობის დღესასწაული იყო.

მოძღვარი თავის თანმხლებ პირებთან ერთად სტუდიელთა მონასტერში წავიდა, სადაც ეზიარნენ. შემდეგ გაჩერდნენ მათი მონასტრის მეტოქეში – ქსერდოფში. ბერს მაღალი სიცხე მისცა, ყველა ფიქრობდა, რომ მგზავრობისგან იყო დაღლილი, რადგან საღოცავად ყოველთვის ფეხით დადიოდა ხოლმე. სამი დღე დარჩნენ მეტოქეში. წმინდა მოციქულების დღესასწაულის წინა დღეს მან თანმხლებ პირებს უბრძანა, ობლები მოეზადებინათ მეფის წინაშე წარსადგომად. სთხოვნენ, მეორე დღისთვის გადაედო ეს შეხვედრა, მაგრამ მან მკაცრად ბრძანა, თუ დღეს არა, ხვალ ვეღარ შევძლებთო.

სახედარზე სხეების დაუხმარებლად შეეცა და ფილოპატის ველისკენ გაემართნენ, სადაც იმ დღეს მეფეს უნდა შეხვედროდნენ. მეფემ რომ ობლები იხილა, გაუკვირდა მათი სიმრავლე და მცირეწლოვანება, რადგან ზოგი, უკვე სამონაზვნოდ შემოსილი, მხოლოდ შვიდი წლისა იყო.

მეფემ მადლობა შესწირა ბერს და უთხრა, ამ დიდსა და მაღალ საქმეს სხვა ვერავინ აღასრულებდაო. ბერმა უპასუხა: „წმინდა მეფეო, ეს ობლები საქართველოში შევკრიბე და ღვთის სახელი და სიტყვა შევასწავლე ახლა თქვენი მეფობის წინაშე წარვადგინე და როგორც ინიებებთ და მიიწვეთ, ისე აღზარდეთ და შეიწყალეთ. ხელთა შენთა შევედრებ ამ ობლებს, ხოლო მე ამიერიდან ვეღარ მიხილავთ“.

მაშინ ვერც მეფე და ვერც სხვა ვერაფერს მიხვდა, მეორე დღეს კი, ოთხშაბათს, წმინდათა თავთა მოციქულთა პეტრეს და პავლეს დღესასწაულზე, როდესაც მიიყვანა ნეტარი, ყველას აეხილა თვალი.

მწუხრის ღოცვა ნეტარმა ბერმა ჩვეულებრივ ილოცა, შემდეგ ყველა დაითხოვა, ერთის გარდა.

წმინდა მოციქულთა ცისკრის ღოცვის ყველა წესს თვითონ უძღვებოდა. როცა გათენდა, იმ ძმებს მოუხმო, რომელთაც სხვათა მომსახურება ებარათ და უბრძანა, ძმები დაეპურებინათ. იმ დღის სატმელ-სასმელი თვითონ განაწესა, გათენებულზე სანთელი აანთებინა, ითხოვა, საკმეველი ეკმიათ და სახარების კითხვას შესდგომოდნენ. ოთხნი კითხულობდნენ. ოთხივემ ერთად რომ დაამთავრა, ჯვარი გადასახა და წარმოთქვა: „დიდება შენდა, უფალო“.

მუდამ მშვიდმა და მუდრო მოძღვარმა მიცვალების ჯამსაც მუდროება იწმია. ანდერძი რომ გავცხადებინა ძმებისთვის და სამოსს რომ მისი მოახლოებული აღსასრული გაეგო, დიდი შფოთი და აურზაური შეიქნებოდა. ამ მიზეზით არაფერი თქვა. როცა ხორციდან სრული გასვლისთვის ემზადებოდა, წმინდა და სანატრელი ხელები თავის უბიწო გულზე გადაიკვარდინა. მცირედ დაასხა ოფლმა, გადაიწერა ჯვარი, მარჯვენა კელავ თავის ადგილას დაასვენა და წარმოთქვა: „ხელთა შენთა, უფალო, შევედრებ ხელსა ჩემსა“.

მხოლოდ ერთხელ აღმოიფშვინა ღრმად და თავისი წმინდა სული წმინდა ანგელოზებს მიაბარა.

ენა უბღურია იმის მოსათხოვად, რა შფოთი, ქვითინი და შეცხადება შეიქნა. ბერის ცხედარს შემოეხევივნენ მღვდელნი და დიაკონნი, აგრეთვე ობოლნი, ჯერ კიდევ ჩვილნი, რომლებიც წვრილი ხმით დასტიროდნენ მამას და მოძღვარს.

